<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფაბრიკის შესახვევისთვის არქიტექრორის ალექსანდრე შიმკევიჩის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, ფაბრიკის შესახვევს მიენიჭოს არქიტექრორის ალექსანდრე შიმკევიჩის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 1458
გეოგრაფიული (გრძედი,განს

ZWIĄZEK KULTURALNO-OŚWIATOWY
POLAKÓW W GRUZJI
"POLONIA"

საქართველოს პოლონელთა
კულტურულ – საგანმანათლებო
კავშირი "POLONIA"

КУЛЬТУРНО–ПРОСВЕТИТЕЛЬСКИЙ
СОЮЗ ПОЛЯКОВ ГРУЗИИ
"POLONIA"

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

მოგმართავთ საქართველოში პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონიას" სახელით. ჩვენი კავშირი გახლავთ ქართველ პოლონელთა პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში შეიქმნა. ის უკვე 27 წელია ფუნქციონირებს და 800-ზე მეტ წევრს ითვლის. ამ წლების განმავლობაში უამრავი მნიშვნელოვანი მიღწევა გვაქვს ქართულ-პოლონური ურთიერთობების განვითარების საქმეში (ნება გვიბოძეთ, ჩვენი საქმიანობა დანართის სახით წარმოგიდგინოთ). კავშირის საქმიანობა და მისი თავმჯდომარე, თსუ პროფესორი მარია ფილინა არაერთხელ იყო დაჯილდოვებული უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოებით როგორც საქართველოს, ისე პოლონეთის მთავრობათა მიერ ქართულ-პოლონური საზოგადოებრივი, სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, საქართველოში პოლონური კულტურის პოპულარიზაციისათვის.

როგორც მოგეხსენებათ, ქართულ-პოლონური ურთიერთობები რამდენიმე საუკუნეს ითვლის, აქვს მდიდარი ტრადიციები და გამოირჩევა თავისი უნიკალურობით. პოლონელებმა, მათ შორის მე-19 საუკუნეში პოლიტიკური ნიშნით გადასახლებულებმა, ასევე, მათმა შთამომავლებმა, მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში - მეცნიერებაში, კულტურაში, მედიცინაში, ინჟინერიაში, მშენებლობაში. შეიქმნა პოლონელებისა და ქართული ინტელიგენციის ელიტის სულიერი და შემოქმედებითი კავშირი. საქართველოში მოღვაწე პოლონელებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ალექსანდრე შიმკევიჩს, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს თბილისის მთავარი არქიტექტორი იყო.

არქიტექტორის თითქმის მივიწყებული სახელი ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ჟღერს. დავასახელებთ მისი პროექტის მიხედვით აგებულ ყველაზე ცნობილ შენობებს (რეალურად ისინი გაცილებით მეტია): არტისტული საზოგადოება - ამჟამად ეწოდება შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი (კორნელი ტატიშვილის თანაავტორობით), კონსერვატორია, საქალაქო, ამჟამად უზენაესი სასამართლო, კავკასიის აბრეშუმის სადგური (მუშთაიდში), ანდრიოლეტის სახლი, სახაზინო სახლი ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე, თბილისის პასაჟი ალ. პუშკინის ქუჩაზე, საცხოვრებელი

✉ ul. G. Leonidze 14, m.1, Tbilisi, 0105, Gruzja ☎ Tel./Fax. (+995 32) 933 707
ul. Sulchan – Saba 7, Tbilisi, 0105, Gruzja Tel. (+995 32) 922 469

სახლები ჭონქაძის (ყოფილი გუდოვიჩის, სადაც ცხოვრობდა კიდეც არქიტექტორი) და უზნაძის ქუჩებზე, ჩვენამდე ვერმოღწეული ფუნიკულიორის ქვედა სადგური (არქიტექტორ ბლუშისთან ერთად), გიმნაზია ბათუმში... ალბერტ ზალცმანის გარდაცვალების შემდეგ ა. შიმკევიჩმა გააგრძელა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მშენებლობა.

ალექსანდრე შიმკევიჩი არის იმ შენობების ავტორი, რომლებიც ჩვენი დედაქალაქის სავიზიტო ბარათია. რომა რა იგი, თბილისის იერსახე სრულიად სხვაგვარი იქნებოდა. ის, რომ მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ სტუმრებს აღტაცებას ჰგვრის ქალაქის ცენტრის შესანიშნავი ანსამბლი, დიდწილად ალექსანდრე შიმკევიჩის დამსახურებაა.

არქიტექტორი არჩეული იყო ქალაქის სათათბიროს დეპუტატად, ნატიფი ხელოვნების წახალისების კავკასიური საზოგადოების წევრად. 1905-1906 წლებში არქიტექტურასა და ხატვას ასწავლიდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში, რომლის საფუძველზეც დაარსდა შემდგომში სამხატვრო აკადემია. სწორედ მაშინ დაწესდა ა. შიმკევიჩის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა მხატვრებისა და არქიტექტორებისთვის.

შიმკევიჩი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. 50 წლამდეც ვერ მიაღწია. იგი დაკრძალეს თბილისში, ლუთერანული ეკლესიის გალავანთან. საბჭოთა წლებში ეკლესია ააოხრეს და საფლავები ბარბაროსულად დაარბიეს. მოგვიანებით ამ ადგილას აღმართეს განახლებული ევანგელურ-ლუთერანული ტაძარი. გამომდინარე იქიდან, რომ საფლავის ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია. არქიტექტორის შვილთაშვილის ელენე ინიციატივით შეიქმნა „ალექსანდრე შიმკევიჩის ფონდი“, რომელიც 2008 წელს დარეგისტრირდა. მისი თავმჯდომარე სიცოცხლის ბოლომდე, 2019 წლამდე, ი. ჩერნიაევა იყო. ფონდის ამოცანები მრავალმხრივი იყო - შიმკევიჩის სახელობის სტიპენდიის აღდგენა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, შემოქმედების პროპაგანდა. თუმცა ფონდი დიდ სირთულეებს გადააწყდა, პირველ ყოვლისა, ფინანსურს. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ კონკრეტული ადამიანების ძალისხმევით მოახერხდა რაღაცის გაკეთება.

2011 წლის 16 დეკემბერს სავარაუდო სამარხის ადგილზე, თბილისში, ლუთერანული ეკლესიის გალავანზე დაიკიდა მოკრძალებული მემორიალური ფილა. საკრებულოს წარმომადგენელმა მაშინ შემოგვთავაზა, რომ ქალაქში დაიდგას ა. შიმკევიჩისთვის ბიუსტი და ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდოს. შემდეგ, უზენაესი სასამართლოს შენობაში გამართულ საზეიმო სხდომაზე კვლავ გაიჟღერა ამ წინადადებამ, უფრო მეტად კი - დაპირებამ, რომ სოლოლაკის ან მთაწმინდის ერთ-ერთ ქუჩას დარქმეოდა შიმკევიჩის სახელი. ეს იქნებოდა ბუნებრივი. მაგრამ აქამდე არც

ერთი ქუჩისთვის არ უწოდებიათ იმ არქიტექტორის სახელი, რომელმაც დედაქალაქში ესოდენ ღირსშესანიშნავი შენობები ააგო.

დღეს საქართველო და პოლონეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან სხვადასხვა სფეროში და ამ თანამეგობრობას საფუძვლად უდევს მრავალი გამოჩენილი ქართველისა და პოლონელის საქმიანობა. ადამ მიცკევიჩის, პოლონური სულისა და შემოქმედების სიმბოლოს, ქუჩა თბილისში მრავალი ათეული წელია არსებობს. უკანასკნელ ათწლეულში გამოჩნდა ლეხ კაჩინსკის ქუჩა, რომელმაც უდიდესი დახმარება გაუწია საქართველოს 2008 წლის ომის დროს. გვაქვს, ასევე, მარშალ იუზეფ პილსუდსკის გამზირი, რომელმაც 1920-1930 წლებში პოლონეთში მიიღო ქართველი ოფიცრები და მათი ოჯახები. გამოჩენილი პოლონელების წინაშე საქართველოს ამ ხარკს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. თუმცა, კარგი იქნება, თუ საქართველო სათანადო პატივს მიაგებდა იმ „თავის“ პოლონელსაც, რომელმაც მთელი შემოქმედება მის საყვარელ ქალაქ თბილისს მიუძღვნა.

მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ ეს საკითხი. დარწმუნებულები ვართ, რომ თბილისის ქუჩისთვის ალექსანდრე შიმკევიჩის სახელის მიკუთვნებას დიდი გამოხმაურება და შეფასება ექნება პოლონეთში და თქვენ, ბატონო თავმჯდომარე, ისტორიულ საქმეს ჩაიდენთ.

პატივისცემით

კავშირის თავმჯდომარე პროფესორი მარია ფილინა

თბილისი, 08.02.2022 წ.

წერილის ნომერი: **03-0323020152**
თარიღი: **20/01/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საქართველოში პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "POLONIA"-ს თავმჯდომარის მარია ფილინას 2022 წლის 10 თებერვლის საქმე #10/032203916-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის პოლონელი არქიტექტორის ალექსანდრე შიმკევიჩის სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ფაბრიკის შესახვევის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში ალექსანდრე შიმკევიჩის სახელობის ქუჩა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ალექსანდრე შიმკევიჩი

(1858— 1907)

თბილისში მოღვაწე წარმოშობით პოლონელი არქიტექტორი.

დაიბადა 1858 წელს სანქტ-პეტერბურგში. ალექსანდრე შიმკევიჩი კარლ მაის სახელობის სკოლაში სწავლობდა 1867-1875 წლებში.

სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა სანქტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში არქიტექტორის სპეციალობაზე. 1885 წელს ალექსანდრე შიმკევიჩმა მიიღო არქიტექტორის ადგილი თბილისში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შიმკევიჩის ოჯახი ნათესაური და მეგობრული ურთიერთობით მჭიდროდ უკავშირდებოდა ფიოდორ გუსტავის ძე ბერენშტამის (1862-1937) ოჯახს, რომლის შვილი ფიოდორ ფიოდორის ძე ბერენშტამი (1905-1986) ასევე სწავლობდა კარლ მაის სკოლაში. ფიოდორ გუსტავის ძე ბერენშტამი ალექსანდრე შიმკევიჩთან ერთად სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში. მან ცოლად შეირთო ალექსანდრეს დეიდაშვილი და სწორედ ფიოდორ ბერენშტამის (იგი იყო ცნობილი ადამიანი თბილისში) რეკომენდაციით შესძლო ალექსანდრემ ქ. თბილისის არქიტექტორად მოწყობა.

შიმკევიჩის პროექტით აშენდა თბილისის შემდეგი შენობები: ისლამური სახლი (1885 წ.), კავკასიის აბრეშუმის სახლი (1892 წ.), საქართველოს უზენაესი სასამართლო (1894 წ.), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი (არქიტექტორ კ. ტატიშჩევთან ერთად; 1901წ.), კონსერვატორია (1904 წ.), ანდრეოლეტის სახლი (1901 წ.), ფუნიკულიორის შენობა (არქიტექტორ ბლუშემთან ერთად; 1905 წ.),

თამამშევის საცხოვრებელი სახლი იალბუზის 18-ში (1900-1905 წწ.); ასევე მისი აშენებულია ბათუმის გიმნაზია (1897 წ.).

1905-1906 წლებში ალექსანდრე შიმკევიჩი თბილისის სამხატვრო სკოლაში ასწავლიდა. ალექსანდრე შიმკევიჩი გარდაიცვალა 1907 წელს ქალაქ თბილისში.